ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: ირინე ჩხეიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ კულტურის და ხელოვნების ცენტრის "-ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2023** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის 21 დეკემბრის **N30** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

4.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოც იალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2023** წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის მორიგი სხდომის
ოქმი N10
2023 წლის 5 ივნისი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერეძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 33 წევრი.
სხდომას ესწრებოდნენ:
მერიის წარმომადგენლები:
ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,
ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,
ირინე ჩხეიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი,
მამუკა ჭიპაშვილი ა(ა)ი.პ " კულტურის და ხელოვნების ცენტრის" ხელმძღვანელი
საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:
ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.
ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
მ. ბაბლიძე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,
ე. შავიძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი,
ნ კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

ნ.ნიქაბაძე ა(ა) კ.ი.პ მოქაპაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის ჟურნალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: ირინე ჩხეიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ კულტურის და ხელოვნების ცენტრის "-ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

3. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2023** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის 21 დეკემბრის **N**30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

4.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური და ხმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2023** წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 33 წევრი.

მომხრე 33,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის ირინე ჩხეიძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, სამსახურს უამრავი ღონისძიებები აქვთ ჩატარებული, ზაფხული პერიოდი მაქსიმალურად იყო დატვირთული მადლობის მეტი რა გვეთქმის, კომისია შემოდის წინადადებით საქმიანობა სეფასდეს დადებითად.

ქ. ზუმბაძემ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ მან აღნიშნა, რომ კულტურის სამსახურის საქმიანობით კმაყოფილია, მაგრამ მაინტერესებს თუ იგეგმება ალტერნატიული დარბაზის მოწყობა, თუ გაქვთ მიმართვა მერიასთან, ღია ესტრადის სახურავის შეცვლა ამ კითხვით მიმართა მომხსენებელს და მერის პირველ მოადგილეს.

ი. ჩხეიძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ვთხოვეთ მერს, მაგრამ ეს ვერ მოხსნის პრობლემას, ვიცი, რომ მიმდინარეობს მუშაობა, ღია ესტრადაზე ზაფხულში ღონისძიებები უნდა გავიდეს, კარგი იქნება 300 კაციანი სივრცე.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ვმუშაობთ დაფინანსებაზე იმედია გაკეთდება.

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფლები, რომლებიც მოწყვეტილია ცენტრს, რას გეგმავთ ასეთი სოფლებისათვის.

ი. ჩხეიძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ ახალ ფესტივალში ყველა სოფელი იყი ჩართული, ყველა სოფელში ტარდება გასვლითი ღონისძიებები, თოჯინების თეატრი. ვიწვევთ დაბაში ღონისძიებებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის უნდა იყოს ინფრასტრუქტურა და შესაბამისი კონტიგენტი.

უ. ბერაძემ ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ო. გაგოშიძის მიერ დასმულ საკითხს სოფლებში ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში ჩართვასთან დაკავშირებით, ამის აუცილებლობა კარგად აჩვენა კავეენმა, სადაც ჩვენთვის გასაოცარი შედეგები დადეს ბავშვებმა. საქმიანობა ვაფასებთ დადებითად

ლ. აბაშიძემ საკრებულოს წევრმა ასევე დადებითად შეფასების თაობაზე დააყენა წინადადება.

თორნიკე ავალიშვილმა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ, რომელმაც საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა მუნიციპალიტეტის ცალკეულ სოფლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფოტო მასალა, და მერიის მიერ მიწოდებული მერის სამივლინებო დოკუმენტაცია, აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით მოითხოვა კომისიის შექმნა მიუხედავად სხდომის თავმჯდომარის მოწოდებისა, რომ ეს არ შეეხება განსახილველ საკითხს, რომლის განხილვაც მიმდინარეობს ამჟამად და შემეგ ყოფილიყო მსჯელობა, არ დაეთანხმა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა საკრებულოს წევრთა შორის, შეიქმნა უწესრიგობა და სხდომის წარმართვა გახდა შეუძლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტუაციის განმუხტვის მიზნით საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა 20 წუთიანი შესვენება.

შესვენების დასრულების შემდეგ სხდომა განახლდა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 4 წევრი (თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, ნანა გორგაძე და ირმა ალხაზიშვილი სხდომათა დარბაზში არ დაბრუნებულან)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე - 27

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ კულტურის და ხელოვნების ცენტრის “-ხელმძღვანელის მამუკა ჭიპაშვილის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ო. გაგოშიძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ წინადადება შესთავაზე მომხსენებელს მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ა.(ა)ი.პიმ წარმოუდგინოს წინადადება სავარაუდო თანხა, რომელიც საჭირო იქნება ინოვაციების ცენტრის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის,

მ. ბარბაქაძემ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგეგმება ინოვაციური ცენტრის გაფართოება, ახალი ტექნიკის შეძენა და მაქვს იმედი, რომ დაფინანსდება.

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ მამუკას ინტელექტუალური ნიჭის ხარჯზე ბევრი კარგი ღონისძიება ჩატარდა, ხედვა არის სწორი, გამოკვეთილია საჭიროებები კომისია აყენებს წინადადება საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -27

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: პავლე კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სხდომა ჩატარდა, საკითხი განიხილა და კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილ ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 27

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დ ახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის N 11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

შ.ხიჯაკაძემ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და კომისია მხარ უჭერს წარმოდგენილ ცვლილებას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**